

კომენტატორი №2



ფასი: 1,50 ლარი

პერიოდული შემეცნებით-ანალიტიკური საფეხბურთო ჟურნალი

ფეხბურთი 150 წლისაა




ბვ. 11



პოსტარი:
 ბაკანაშვილი კრუიფის წინააღმდეგ
 (მსოფლიო ჩემპიონატის ბურთების
 კოლექციიდან:
 1974 წელი, გვრ. „ადიდასის“ მეორე მსოფლიო
 ჩემპიონატის ბურთი „ტელსტარ ღურლასტი“)

ბვ. 8

გერმანელი
 „იგაგანოვი“
 და „პურიანოვი“
 კოლანდიალი



ბვ. 23

მესამე



იხმეჩვიუ
 ნოდარ ხიფსიანთან:
 სერგანოვისეული
 ბვ. 5 ჩვენი უმჯობესი

მთავარი რედაქტორი

ტარიელ კინწურაშვილი



მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების მეორე ბურთი.
იტალია, 1934 წელი.

დაგვიკავშირდით, ჩვენთან რეკლამა მოგზავნიანია თქვენი წარმატებისთვის!

დამფუძნებლები:

კობა ბელოძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50

<http://bedoidze.site.ge/>

ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;

ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com

tariel1981@hotmail.com



პრობლემა

უგოლო ქართული ფეხბურთი

ჯერ იყო და ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო დასკვნით ეტაპზე, თბილისის „დინამო“ და გორის „დილა“ ჯამში თორმეტი გოლი მიიღეს საკუთარ კარში და თავად ვერც ერთი ვერ გაიტანეს, ხოლო საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ სექტემბერში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ორი მატჩიც ვერ გამოდგა ჩვენთვის შედეგიანი, – სამწუხაროდ ქართველი ფეხბურთელის გატანილი გოლი ვერც აღნიშნულ შეხვედრებში ვიხილეთ. ყოველივე ამის ფონზე, ესპანეთში, მსოფლიოს და ევროპის მოქმედი ჩემპიონების კარში, გოლის გაუტანლობა გასაკვირი ნამდვილად არ იყო. ერთადერთ ნუგეშად, შინ საფრანგეთის ნაკრებთან თავდადებული თამაში და აღებული ერთი ქულა შეიძლება მივიჩნიოთ.



სტოიჩკოვის ძალიან ძლიერ ბულგარეთის ნაკრებსაც მოვუგეთ და პრემიერლიგაში გამონართობილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ უელსელებსაც ხუთი უპასუხო გოლი გავუტანეთ – საბოლოოდ კი მესამე საპატიო ადგილზეც გავვადით.

მრავალგზის ნაცადი პრაქტიკა ამტკიცებს, რომ შემტევი ფეხბურთის თამაში უფრო გამართლებულია. გასაგებია ფრანგებს ფრედ ვეთამაშეთ, მაგარამ ამით რა? ჯგუფში არაფრის მოქმედ მესამე ადგილზეც ვერ გავვადით. ამას ჯობდა საკუთარ მოედანზე მკვეთრად გამოკვეთილ მეორე ნომრად არ გვეთამაშა, უფრო მეტი შეგვეტია და თუნდაც 2:3 ან 2:4 წაგვეგო – საბოლოო ჯამში მაინც თავდასხმაში იბადება გამარჯვებები და მომავალში სწორედ შემტევი სტილი თუ გამოადგება ჩვენს ნაკრებს წარმატებების მისაღწევად. საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო – გამონათქვამიც კი არის ასეთი.

მომავალში უგოლო ქართული ფეხბურთი არავის არ სჭირდება. ჩავთვალეთ, რომ დამწყები ფეხბურთელებისთვის სასარგებლო


იქნებოდა ქართველი ლეგენდარული შემტევი მარცხენა გარემარბის მიხეილ მესხის გაკვეთილის წაკითხვა, სადაც ის იმის შესახებ საუბრობს თუ როგორი უნდა იყოს თავდამსხმელი და რაც ყველაზე საგულისხმოა მისი ეს დარიგებები თანამედროვე ფეხბურთსაც ზედგამოჭრილად ესადაგება. გთავაზობთ ამონარიდს ოთარ კუსიანის ნორჩი ფეხბურთელებისთვის განკუთვნილი წიგნიდან „ტყავის ბურთი“. მაშ ასე, მოვუსმინოთ მიხეილ მესხს...

თანამედროვე თავდამსხმელს ფეხბურთი ძალზე დიდ მოთხოვნებს უყენებს – ერთი წამით არ შეანელოს შეტევათა ცეცხლი მეტოქე გუნდის კართან. თვით ამ ხაზის მოთამაშეთა

იმ დროიდან მოყოლებული რაც ჩვენში ფეხბურთს თამაშობენ – მუდამ შემტევი ხელწერით „ფეხბურთით“ გამოვიჩინოთ და რიგ შემთხვევებში თუ ამას შედეგი არ მოჰქონდა ხოლმე, ქართული ფეხბურთის ხელწერა მაინც ფიქსირდებოდა საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო ასპარეზობებზე.

მოდით ასე ვთქვათ... ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასასვლელად არც ჩივაძის დროინდელი ნაკრები იყო მზად. იმ გუნდის წამყვანი ფეხბურთელი და ერთ-ერთი ლიდერი დღევანდელი ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია გახლდათ და მას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, ის გუნდი როგორ შემტევი ფეხბურთის ანიჭებდა უპირატესობას. მაშინდელმა შეტევაზე ორიენტირებულმა თამაშის სტილმა და ცოტა უიღბლობამაც საქართველოს მაშინდელ ნაკრებს მოლდავეთის სუსტ გუნდთან ორი თამაში წააგებინა, მაგრამ გოლების გატანაზე დასახულმა სტრატეგიებმა სხვა თამაშებში მოგვიტანა წარმატებები... მიუხედავად იმ დროინდელი ნაკრების მრავალგზის კრიტიკისა,





სახელწოდებაც – „თავდამსხმელი“ საკმაოდ ნათლად მიგვითითებს მათ ამოცანებზე. თავდასხმითი ოპერაციების წარმოება და ბურთების გატანა – აი, მათი მთავარი მიზანი.

თავისი ისტორიის მანძილზე ფეხბურთმა მრავალი ცვლილება განიცადა. თანდათან გაიზარდა ნახევარმცველთა და მცველთა რიცხვი. თავდამსხმელთა რაოდენობა კი შემცირდა ათიდან ხუთამდე, სამამდე, ორამდეც კი. იმის მიუხედავად, რომ ახლა უკანა ხაზის მოთამაშეთა ფუნქციებში თავდასხმაში მონაწილეობაც შედის, თავდამსხმელის მოვალეობანი მაინც დიდია. მას უნდა შეეძლოს ადგილის სწრაფად შერჩევა, კარში ნებისმიერი მდგომარეობიდან ორივე ფეხით, თავით დარტყმა.

რა ესაჭიროება თავდამსხმელს? ძალიან ბევრი რამ. იგი უნდა იყოს ძალზე სწრაფი, ფლობდეს დიდ ტექნიკას, კარგად ხედავდეს მინდორს, შეეძლოს ორივე ფეხით ძლიერად დარტყმა და კარგად თამაშობდეს თავით. მაგრამ მარტო ესენიც არ კმარა. თავდამსხმელს უნდა შეეძლოს ბურთის გასატანი მომენტის „დაჭერა“. ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება უარყოფითად იმოქმედებს შენს თანაგუნდელებზე, პირადად შენზე. ბურთის გატანა კი მთელ გუნდს ალაფრთოვანებს და მის განწყობილებასაც აამაღლებს, შენ კი ერთი-ორად ეცდები უფრო კარგად ითამაშო. ახლა ერთ ამბავს მოგიყვებით, თუ რა დიდი როლი შეასრულა ერთი ბურთის გატანამ თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთ გადამწყვეტ გამარჯვებაში.

რასაკვირველია წაგიკითხავთ

და ბევრიც იცით 1964 წლის საფეხბურთო სეზონის შესახებ. 18 ნოემბერს ტაშკენტში ოქროს მაძიებელი ორი გუნდი – მოსკოვის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“ შეხვდა ერთმანეთს. მატჩი დაიწყო. ორივე გუნდის მოთამაშეებს ძალზე გვინდოდა გამარჯვება, მაგრამ ცხადია მარტო სურვილი არ კმარა. შეტევა შეტევაზე მიგვქონდა ტორპედოელთა კართან, მაგრამ უშედეგოდ, პირიქით კი გამოვიდა: მოსკოველებმა ბურთი ჩვენი კარის ბაღეში გაახვიეს. ეს მოხდა მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლდა. ბიჭები დალოდნენ. ვხედავ, მეკარე სერგო კოტრიკაძე ნაღვლიანად გასცქერის მინდორს. ასევე გამოიყურებიან ბორის სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია... დროებითმა მარცხმა ჩემზეც ცუდად იმოქმედა.

ყ ვ ე -
ლ ა ფ ე რ ი
ერთმა გა-
ტ ა ნ ი ლ მ ა
გოლმა იხსნა.
თამაშის დამ-
თავრებამდე
თითზე ჩამო-
სათვლელი
წუთები რჩე-
ბოდა. ტორ-
პ ე დ ო ე ლ -
თ ა კ არ თ ა ნ
კ უ თ ხ უ რ ი
და ი ნ ი შ ნ ა .
მის ჩამოსა-
წოდებლად
ი ლ ი ა დ ი -
თ უ ნ ა შ ი ლ ი
გ ა ე მ ა რ თ ა .
მ ს ა ჯ ის ნ ი -

შანი... ბურთი ჰაერში აიჭრა, კარს, რომ მიუახლოვდა, მკვეთრად შეიცვალა ტრაექტორია და მოსკოველთა კარში ჩაეშვა – 1:1. ასე დამთავრდა ძირითადი დრო. გატანილმა გოლმა ყველანი აღგვაფრთოვანა და დამატებით დროში კიდევ სამი ბურთი მოვათავსეთ „ტორპედოს“ კარის ბაღეში.

აი, რა შეუძლია ერთ გატანილ ბურთს. ეცადა, კარის აღების ყველა ხელსაყრელი მომენტი გამოიყენო. ეს რომ შეძლო, ბურთს კარგად უნდა ფლობდეს. რაც შეიძლება მეტი დრო გატარე მასთან. იკენწლავეთ, დაარტყით... პირადად მე ვარჯიშზე ბურთს ფეხიდან არ ვიშორებდი. ლამითაც კი, დასაძინებლად რომ მივიდოდი, სანოლქვეშ ვდებდი.

ივარჯიშეთ ბურთის დარტყმაში მარცხენა ფეხითაც. ეს აუცილებელია. მე ბევრ „ცალფეხა“ ფეხბურთელს ვიცნობ, რომლებიც ბავშობიდანვე შეეჩვივნენ მარჯვენა ფეხით თამაშს. როცა წამოიზარდნენ, ნაკლი ვეღარ გამოასწორეს. ისწავლეთ, 180 გრადუსზე შემობრუნებით ადგილიდან დაარტყათ ჰაერში მყოფ ბურთს. ერთდროულად ივარჯიშეთ თავურის დარტყმაშიც.

თავდამსხმელი კარგად უნდა ფლობდეს მეტოქის მოტყუების ტექნიკას, ცრუმოდრაობებს. მოდი, ბურთიანად გაძვერით ხეებს შორის. ეს ძალიან დაგეხმარებათ. თავდამსხმელისთვის ასევე მნიშვნელოვანია სწორად რბენა. თანაც ისეთი რბენა საჭირო, სტარტზევე მაქსიმალური სიჩქარის განვითარება, რომ შეძლოთ...



ინტერვიუ

სერვანტისისული ჩვენი ფეხბურთი



ნოდარ სიმსივე

– ნოდარ ორიოდე სიტყვით თქვენს შესახებ გვითხარით რამე...

– მე ვარ ნოდარ სიმსივე. დავამთავრე შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამსახიობო ფაკულტეტი, როგორც ბაკალავრიატი, ასევე მაგისტრატურა ამავე განხრით. ამჟამად ვმუშაობ რკინის თეატრში, რომელიც მაგისტრატურის ბაზაზე შეიქმნა ორი წელია. თეატრში ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ცოტა ხანი გაჩერებული ვართ.

– ფეხბურთის კომენტატორობა რადგან გადამწყვეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთი გიყვართ. მომავალში თქვენი თავი უფრო თეატრში, კინოში თუ კომენტატორის ამპლუაში წარმოგიდგენიათ? სამივეს ერთმანეთთან ბევრი საერთო რამ აკავშირებს, მაგრამ მაინც...

– აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ არც ერთი ერთმანეთს არ გამოირცხავს. თქვენ შეკითხვა სწორედ ჩემი პასუხით დაიწყეთ. კარგი კომენტატორი მონო სპექტაკლს სთავაზობს თავის მაყურებელს. თეატრი, კინო და ფეხბურთი ერთმანეთს აკვებენ – ჩემ შემთხვევაში სწორედ ასეა. ჩემთვის კომენტატორობა არ არის ეკრანიდან საფეხბურთო წესების ახსნა და ამა თუ იმ გუნდის სათამაშო სტრატეგიაზე საუბარი. დღეს ფეხბურთი ისეთ დონეზეა განვითარებული, რომ მე პირადად მეუხერხულება ეკრანიდან მაყურებელს სწავლა დავუწყო ფეხბურთის.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაყურებელი არ მოვადუნო – ფეხბურთი კარგად გავუხმოვანო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მე თეატრისა და კომენტატორობის გარეშე არ შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ ეხლა დავიწყე ეს საქმე და სულ რამდენიმე რეპორტაჟი წავიყვანე, ვიტყვი ხმამაღლა – ამით ვცხოვრობ! ეს მონო სპექტაკლია ჩემთვის.

– კომენტატორი წესით ნეიტრალური უნდა იყოს, მაგრამ პრალაში ევროპის სუპერთასზე – გულის სიღრმეში მაინც ვის ქომაგობდით, – ლონდონის „ჩელსის“ თუ მიუნჰენის „ბაიერნს“?

– გულწრფელად გეტყვით პრალაში მხოლოდ იმას

ყურნალი „კომენტატორი“ წარმოგიდგენთ, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე განხორციელებული პროექტ „კომენტატორის“ ფინალისტს ნოდარ სიმსივეს.

ვკომავობდი, რომ შეხვედრა დამატებით დროში გადასულიყო. მე პირადად ესპანურ ფეხბურთს დიდ პატივს ვცემ, რა თქმა უნდა ქართული ფეხბურთის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე მდგომარეობაშია მაინც თვალცრემლიანი ჩემი ფეხბურთი მიყვარს, რომელიც იმ მერცხლის მოფრენას ელოდება, გაზაფხულს, რომ მოიყვანს. მე მაქვს ამის იმედი.

– ფეხბურთზე თქვენი სახელია „Bilbao Iberia Georgia“. რატომ მაინცდამაინც ბასკები...

– ბასკები და ჩვენ ახლოვები ხალხი ვართ, მონათესავე ხალხი... მე მჯერა ამ ლეგენდის!

სხვათაშორის ერთმა ჩემმა მეგობარმა ბასკმა მითხრა, რომ 1998 წელს ბასკების დელეგაცია ჩამოსული ყოფილა თბილისში და მაშინდელ ხელისუფლებასთან ხელიც კი მოუწერიათ ნათესაურ კავშირებზე. ეს ძალიან მახარებს და მე ბილბაოს ვკომავებ ევროპაში. აქ ძირითადად ბასკი მეგობრები მყავს.

– თქვენი ბასკი მეგობრები ქართულად ლაპარაკს ასერხებენ?

– სამწუხაროდ ვერა, მაგრამ საერთო სიტყვები გვაქვს ბევრი – ესეც მონაშობს ჩვენს ნათესაურ კავშირზე.

– ამ რამდენიმე წლის წინ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე – თბილისის „დინამოსა“ და „ბილბაოს“ ატლეთიკის“ შეხვედრას თუ დავსწარი?

– სამწუხაროდ ვერ დავსწარი. მაშინ თბილისში არ ვიმყოფებოდი. პატარა კი ვიყავი, მაგრამ მაგ შეხვედრას ნამდვილად არ გამოვტოვებდი.

მას შემდეგ რაც შორეულ 1937 წელს ბასკი ვირ-



საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროექტის ფინალისტი ნოდარ სიმსივე და გამარჯვებული ლევან ჩხაიძე



კომენტატორი სანდრო ცნობილაძე

ტუოზები იმყოფებოდნენ თბილისში ისიდრო ლანგარას მეთაურობით – ქართულ-ბასკურ საფეხბურთო ურთიერთობაში აღნიშნული მატჩი ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის იყო.

– დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ყველაზე ძალიან რა არ მოგწონთ?

– ძნელია გამოარჩიო რომელიმე მიზეზი. პირველ რიგში დისციპლინის უქონლობაა აღსანიშნავი. არ მომწონს მოუთმენლობა, მოთმინების უნარი საერთოდ არ გვაქვს, შედეგს მალე ვითხოვთ.

ფაქტია, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი რაც არსებობს, ჩვენ ჩემპიონატში წინ სვლა არ არის. მხოლოდ „დინამოსა“ და „ტორპედოს“ წინ სვლით, საფეხბურთო ამინდი ვერ შეიქმნება. წინ სვლაში ფინანსებს ვგულისხმობ. კიდევ ბევრი რამ არის, უბრალოდ ყველაფრის თქმა ძალიან დიდ დროს წაიღებს...

– კარგით, ბლიც კითხვებზე გადავიდეთ... პელე თუ მარადონა?

– მარადონა. მართალია ყველაფერზე რაც მოგვწონს ვამბობთ პელეო, მაგრამ მე მაინც მარადონას ვანიჭებ უპირატესობას.

– თქვენი აზრით რომელი ფეხბურთელი გახდება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე?

– ძნელია ამის თქმა. ძალიან ძლიერი ნაკრებები იქნებიან ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. მე ვისურვებდი საუკეთესოდ ესპანელი დაასახელონ.

– დღევანდელ ქართულ ტელე-სივრცეში ექვსი-შვიდი ნამყვანი სპორტული კომენტატორია... ვის გამოარჩევდით?

– მაღლობა ამ კითხვისთვის. ყვე-

ლას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მინდა გამოვარჩიო სანდრო ცნობილაძე – ადამიანი, რომელიც თავისი ხედვით და თავისი საფეხბურთო ცოდნით ამდიდრებს რეპორტაჟებს. სანდრო ცნობილაძე ქართულ ტელევიზიას ნამდვილად სჭირდება და ის ნამდვილი შენაძენია...

იმ ავად გასახსენებელ პერიოდში, როდესაც თბილისში ომი იყო, ეს კაცი შრომობდა ბოლომდე და გვიმსუბუქებდა ტკივილს. სანდროს აქვს ის ხედვა, რაც ბევრ რეჟისორს ნამდვილად არ გააჩნია – ვგულისხმობ პრაქტიკ „კომენტატორს“, სადაც მან თავის კოლეგებთან ერთად ისეთი ასი ადამიანი შეარჩია, რომლებიც ერთ დიდ ოჯახად შევიკარით. ეს ნამდვილი რეკოლუციაა... დღეს ხომ ყველა ყველას ვჭამთ!

სანდრომ მოახერხა დიდი საკომენტატორო ოჯახის შექმნა იმ ძალიან მაგარ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად.

იგივეს თქმა შემიძლია დავით მინაშვილზე. ის საქართველოს ჩემპიონატს თუ არ ვცდები რვა წელია მუდამ ერთგულად მიყვება და აშუქებს მათ შეხვედრებს. მე უშუალოდ ვარ მონაწილე წვიმაში როგორ იჯდა, არანაირი პირობები არ იყო შექმნილი და მიუხედავად ამისა მას მიყავდა მატჩის რეპორტაჟი.

ეს ადამიანები დონ კიხოტები არიან ჩემთვის და მიხარია ამ ხალხის გვერდით მეც რომ ვიმუშავე.

– ქართული ფეხბურთის სანჩო პანსად ვინ მიგაჩნიათ?

– რთული კითხვაა... ჯერჯერობით მხოლოდ რაინდი დადის ამ ლარბი სტადიონებზე. დახეტილობს სხვადასხვა რეგიონში და ის არის მწუხარე სახის რაინდი. ვნახოთ, იმედია მალე პანსაც გამოჩნდება და ქარის წისქვილებს ერთად დაამარცხებენ! მხოლოდ დონ კიხოტი ვერ მოერევა ამხელა ქარის წისქვილს. მარტო რეპორტაჟების გაშუქებით

ფაქტია პოპულარიზაცია არ ექნება ქართულ ფეხბურთს. დროა სხვებიც ამოქმედდნენ და იტვირთონ სანჩოს როლი.

– ჩემი აზრით სანჩო პანსების ნაკლებობას დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი არასდროს არ განიცდიდა – სანჩო ხომ საშოვარზე გაყვა დონ კიხოტს! როგორ შეაფასებთ დღევანდელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობას, თუნდაც მათი წინამორბედების გაკეთებულ საქმეებს რა ნიშანს დაუწერდით?

– მოკლედ გეტყვი! სამწუხაროდ არაფერია შესაფასებელი. დღევანდელი ფედერაცია სიჭინავას ხელმძღვანელობით ყველაზე მეტს ცდილობს... მოდით შევთანხმდეთ ერთ რამეზე, – ჯერ ქვეყანა უნდა დადგეს ფეხზე. ჩვენი ქვეყანა არასდროს არ ყოფილა საფეხბურთო განვითარებისთვის მზად. სახელმწიფო როცა დადგება ფეხზე, შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება და პურსაც კარგს გამოვაცხობთ. მეპურემ პურიო ხომ გაგიგიათ? მხოლოდ სტადიონის მწვანე ფრად შეღებვით არაფერი არ გამოვა.

– პური ახსენეთ და პურმარილთან როგორა ხართ? ცივი ლუდი, ცხელი ხინკალი და კარგი ფეხბურთი... პა, როგორია?

– ჯანსაღ გარემოში მიყვარს ქეიფი, რა თქმა უნდა ზომიერად და არა ლუარსაბუღლად. რაც შეეხება ფეხბურთს – ხინკალი ნამდვილად არ უხდება ჩემი აზრით, – ლუდს კი დიდი სიამოვნებით მივირთმევე. მხოლოდ ლუდი და ჯანსაღ გარემოში კამათი ფეხბურთზე... ჩემი ოცნებაა, რომ სპორტ კაფე მქონდეს.



კომენტატორი დავით მინაშვილი

საქართველო ფეხბურთი

იკერი და ჯიჯი

ორივე მეკარის ვარსკვლავი საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში ამობრწყინდა და ჭაბუკობისას საკლუბო ასპარეზზე ორივემ დიდ წარმატებებს მიაღწია. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების მსგავსად ესპანეთის ეროვნული გუნდიც პენალტების სერიაში გამოეთიშა გათამაშებას. მაშინ თავიანთი ეროვნული ნაკრებების ღირსებას ჯიჯი ბუფონი და იკერ კასილიასი იცავდნენ. ამ ორ საფეხბურთო ქვეყანას, მსოფლიო ჩემპიონატის თანამასპინძელმა, სამხრეთ კორეის ნაკრებმა სძლია თერთმეტმეტრიან დარტყმებში.

ორ წელიწადში, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე, ესპანეთიცა და იტალიაც ჯგუფში ჩარჩნენ, ხოლო აქედან მოყოლებული ამა თუ იმ დიდ სანაკრებო ტურნირის ფინალში ასპარეზობა არც ერთი მათგანისთვის უცხო აღარ არის.

წლები გადის... იკერი და ჯიჯი ნაკრებების უცვლელ მეკარეებად რჩებიან. ისინი კვლავ მონოდების სიმაღლეზე იმყოფებიან, რაც განვლილმა კონფედერაციის ტურნირმაც დაადასტურა. თუ არ ჩავთვლით მათ დაპირისპირებებს ბრაზილიის ნაკრებთან, – ორივე ეს მეკარე აღნიშნულ ტურნირზე დამაჯერებლობით გამოირჩა.

აღსანიშნავია, რომ მათ ერთმანეთის პირისპირ არაერთხელ უთამაშიათ. საკლუბო ასპარეზზე ეს შეხვედრები როგორც წესი იტალიელი მეკარის და მისი კლუბის გამარჯვებებით სრულდებოდა. განსხვავებული სიტუაციაა სანაკრებო ურთიერთშეხვედრებში – აქ აშკარა უპირატესობით კასილიასი და „ფურია როხა“ ჯაბნიან „სკუადრა აქურასა“ და მათ კიპერს, თუმცა

მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების მეკარეს იკერ კასილიასს ფეხბურთის მოყვარულებში წარდგენა არ სჭირდება. ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში, მან საკმაოდ ბევრი ტიტული მოიგო. ის თანამედროვეობის უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული გოლკიპერია. კასილიასის და ჩვენი დროის კიდევ ერთი უძლიერესი კიპერის ჯანლუიჯი ბუფონის განვლილი სპორტული გზა, ბევრი რამით წააგავს ერთმანეთს.



კი ბუფონმა და განსაკუთრებით კასილიასმა საკლუბო და სანაკრებო დონეზე, მართლაც უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს და რაც ყველაზე საგულისხმოა – თავიანთი გუნდების წარმატებებში წონადი წვლილი შეიტანეს.

ესპანელის სასახლოდ უნდა ითქვას თუ თამაში წაუვიდა და როგორც წესი უმრავლეს შემთხვევაში ასეც არის – რამდენი და რანაირი სირთულის დარტყმაც უნდა შესრულდეს მისი კარის მიმართულებით, თითქმის ყველას მოიგერიებს. იკერ კასილიასი თავისი შესანიშნავი რეაქციით, შრომისმოყვარეობით და სტაბილურობით გამოირჩევა.

რაც შეეხება ბუფონს – მეკარისთვის ესოდენ საჭირო სწრაფი რეაქცია მასაც არ დაეწუნება. იგი ლიდერის თვისებებითაც დაჯილდოვებულია, არის დამაჯერებელი და უხემ შეცდომებს თითქმის არ უშვებს.

ბუფონი და კასილიასი თავიანთი კლუბების განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევიან. უკვე მრავალი წელია იტალიელი ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავს და ტურინული კლუბი არც მაშინ დატოვა, როდესაც ის უმაღლესი ლიგიდან დააქვეითეს. კასილიასაც ქონია რთული დღეები მადრიდის „რეალში“, მაგრამ გუნდის გამოცვლაზე ეტყობა მასაც არ უფიქრია და კარლო ანჩელოტის რეალში, კვლავაც ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელ ფეხბურთელად განიხილება.

დასასრულ კი ავლნიშნავ: მართლაც, რომ საინტერესო იქნება კაპიტნის სამკლავურებით მოასპარეზე, ამ ორი ვეტერანი, მაგრამ დღესდღეობით მონოდების სიმაღლეზე მყოფი მეკარის თამაში მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე. განსაკუთრებით დამაინტრიგებელია მათი კიდევ ერთი შესაძლო დაპირისპირების წარმოდგენა...

ტიტანები

გერმანელი „იჰაპანტოვი“ და „მუხინაჰი კოლანჯიელი“

ფეხბურთის გუნდი სათამაშოდ თერთმეტი კაცით გადის და მოედანზე თითოეული სხვადასხვა პოზიციაზეა განლაგებული. არსებობს მრავალნაირი საფეხბურთო ამბლუა: მეკარე, ცენტრალური მცველი, თავისუფალი მცველი, განაპირა მცველი, საყრდენი ნახევარმცველი, გარემარბი... მაგრამ ფეხბურთს ესთეტიკურობას და მომხიბვლელობას, უწინარესად, ორი ამბლუსის მოთამაშეები სძენენ. ესენი არიან გამთამაშებლები, ეგრეთ წოდებული „ფლეიმეიკერები“ და თავდამსხმელები ანუ „ფორვარდები“.

შევეცდები უფრო მარტივად განვმარტო: სამოცდაათიანი წლების გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში თამაშობდნენ ბერტი ფოგთსი და ფრანც ბეკენბაუერი, იმავე დროის ჰოლანდიის ნაკრებში კი ჯონ რევი და იოჰან კრუიფი გამოდიოდნენ. ოთხივე ეს მოთამაშე ფეხბურთის ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ გვარების სხენებაზე ფეხბურთში გათვითცნობიერებული ადამიანი, ქვეცნობიერად, უმალ ბეკენბაუერისა და კრუიფის გვარებზე გაამახვილებდა ყურადღებას, რადგანაც ისინი, ფოგთსისგან და რევისგან განსხვავებით, თავიანთ გუნდებში გამორჩეული ლიდერები იყვნენ და მოედანზე საფეხბურთო „ამინდს“ ქმნიდნენ. ამიტომ მათნაირ მოთამაშეებს, უბრალოდ „ვარსკვლავები“ კი არ უნდა ვწოდოთ, არამედ უმჯობესი იქნება, ტყავის ბურთის ასეთ უდიდეს ოსტატებს მეგავარსკვლავებს ან სხვა რამე ზეაღმატებულ სახელს თუ შევურჩევთ, თორემ შინაარსობრივად ყველას ზოგადად ვარსკვლავის კონტექსტში მოხსენიება მართებული არ არის.

მაშ ასე, ვისაუბროთ ამ ორ უდიდეს ფეხბურთელზე, გარკვეული პარალელებიც გავავლოთ მათ შორის



არსებობს ორი ტიპის თავდამსხმელი. ერთნი მხოლოდ მონინალმდეგის საჯარიმო მოედანზე არიან სახიფათონი და ბოლო დარტყმის ფორვარდთა რიცხვს განეკუთვნებიან, ხოლო მეორენი ტექნიკურები არიან, მოთამაშის მოტყუებაც ეხერხებათ, შეტევის წამონწყება საჯარიმოს გარედანაც შეუძლიათ, მახვილგონივრული პასების მიწოდება იციან და გოლების გატანაც არ ეშლებათ. სწორედ, მეორენაირი სტილის თავდამსხმელები დგანან წინა პლანზე ფეხბურთში და, როგორც წესი, გულშემატკივრებშიც ასეთი შემოქმედი და მრავალმხრივი იმჭით დაჯილდოვებული ფორვარდები იმსახურებენ მონონებას. მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებადაც, ძირითადად, ასეთი დიდი შესაძლებლობების მქონე თავდამსხმელები სახელდებიან ხოლმე. — თუმცა მსოფლიო ფეხბურთში არსებობდნენ დაცვითი ფუნქციების შემსრულებელი მოთამაშეები, რომლებიც

მხოლოდ საკუთარი მოვალეობების შესრულების ჩარჩოში არ ჯდებოდნენ და თავიანთი ეფექტური, შედეგიანი თამაშით მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ლეგენდარული სახელი დატოვეს.

ფეხბურთს უამრავი მაღალი დონის ოსტატი ჰყოლია, ჰყავს და ეყოლება, მათ ვარსკვლავებს ეძახიან, მაგრამ საფეხბურთო ცნება — ვარსკვლავი — ორაზროვანია. ამ კოსმიურ სახელს უწოდებენ იმ ფეხბურთელს, რომელიც ძლიერ გუნდში ძირითადი შემადგენლობის წევრია, ოღონდ გუნდის რიგით მოთამაშედ ითვლება და იმასაც, ვინც ძლიერი გუნდის ლიდერია.



და მათი წონა მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე ჩვენი ჩვენი „სასწორით“ და-ვადგინოთ...

ფრანც ბეკენბაუერი ყოველთვის ელევანტური თამაშით გამოირჩეოდა. სწორედ თავისი ყველასაგან გამორჩეული არისტოკრატიული თამაშის სტილის გამო მას „იმპერატორი“ (გერმ. „კაიზერ“) უწოდეს.

თავიდან ბეკენბაუერი ნახევარმცველად თამაშობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის უფრო მცველად ჩამოყალიბდა და ლიბეროს პოზიციაზე დამკვიდრდა.

ფრანც ბეკენბაუერს მცველისათვის საშური გოლის გატანის ალლო ქონდა და თავის ხანგრძლივ კარიერაში მრავალი მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა. მან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან ერთად მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები მოიგო, ხოლო მიუნჰენის „ბაიერნის“ რიგებში: გერმანიის ჩემპიონობასა და თასს ოთხ-ოთხჯერ დაეუფლა, სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, თითოჯერ კი უეფას და საკონტინენტთაშორისო თასზეც იმარჯვა.

ბეკენბაუერმა სამწვრთნელო ასპარეზზეც უმაღლესი საფეხბურთო მწვერვალები დაიპყრო ... მან დასავლეთ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში ორჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და აქედან ერთში გერმანელებმა გამარჯვებას მიაღწიეს.

შემდგომ წლებში ბეკენბაუერმა სამწვრთნელო საქმიანობა საკლუბო ასპარეზზეც სცადა და გერმანული ფეხბურთის უპირველეს გუნდთან, მიუნჰენის „ბაიერნთან“ ერთად ბუნდესლიგა და უეფას თასი მოიგო.

ფრანც ბეკენბაუერისგან განსხვავებით, იოჰან კრუიფი შემეტევ ნახევარმცველად და თავდასხმელად თამაშობდა. კრუიფი მოედანზე ნამდვილი ლიდერი იყო, შესანიშნავად უძღვებოდა თამაშს და ტოტალური

ფეხბურთის შემოქმედ, ლეგენდარული მწვრთნელის რინუს მიხელსის ტაქტიკურ კონცეფციებშიც მშვენივრად ჯდებოდა.

კრუიფი ძალიან სწრაფი ფეხბურთელი იყო და აქედან გამომდინარე მეტსახელად „მფრინავი ჰოლანდიელი“ შეარქვეს. მას მოედანზე საუცხოოდ მანევრირების განსაკუთრებული უნარი ქონდა, შეეძლო ზუსტი პასების შესრულება და ვირტუოზული ტექნიკით ყველასგან გამოირჩეოდა.

მათ შორისაც კი ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის ფინალს. აღნიშნულ ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ტურნირის მასპინძელი დასავლეთ გერმანიის ნაკრები და ჰოლანდიის ეროვნული გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები მასპინძლები იყვნენ, ამ თამაშის წინ: ფეხბურთის სპეციალისტები, სპორტული ჟურნალისტები და გულშემატკვრების დიდი ნაწი-

ლი უდავო ფავორიტად ჰოლანდიას მიიჩნევდნენ. ამ შეხვედრაში ერთმანეთის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ ფრანც ბეკენბაუერი და იოჰან კრუიფი.

დაიწყო თამაში და სანყის წუთებში იოჰან კრუიფმა შესანიშნავი დრიბლინგი განახორციელა... როდესაც მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, მის წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვიეს... პენალტი იოჰან ნეესკენსმა გაიტანა, ჰოლანდია წინ გავიდა, მაგრამ თამაშის დასრულების შემდეგ ციფრები 1 და 2 გერმანელთა სასარგებლოდ მეტყველებდა!

რა გაენწყობა... ორი, თუნდაც ერთნაირად უდიდესი ფეხბურთელის დაპირისპირება ფინალურ მატჩში, ერთ-ერთის მარცხით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთავარი არ არის მსოფლო ჩემპიონობა ან ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში, არამედ მთავარია სულ სხვა რამ...

თამაში, რომელიც სპორტის სახეობას განეკუთვნება და მას ხელოვნების დონემდე აიყვან, მაშინ უკვე მსოფლიოს ჩემპიონიც ხარ და უფრო მეტიც...

პელეს შემდეგ მსოფლიოს მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად მფრინავ ჰოლანდიელად ცნობილი იოჰან კრუიფია აღიარებული, ხოლო სამეულში პელესა და კრუიფის შემდეგ იმპერატორად წოდებული ფრანც ბეკენბაუერი დგას. მართლაც, რომ ფანტასტიკური ტრიადაა...



კრუიფმა ამსტერდამის „აიაქსთან“ ერთად: ჰოლანდიის ჩემპიონატი რვაჯერ, ჰოლანდიის თასი ხუთჯერ, ევროპის ჩემპიონთა თასი სამჯერ, ევროპის სუპერ თასი და საკონტინენტთაშორისო თასი კი თითოჯერ მოიგო. იგი ჰოლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი როტერდამის „ფეიენოორდთან“ ერთადაც გახდა. კრუიფმა ტიტულები კატალონიურ „ბარსელონაშიც“ დააგროვა... მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ესპანეთის თასი.

ბეკენბაუერის მსგავსად კრუიფის სამწვრთნელო კარიერაც წარმატებული გამოდგა და მან „აიაქსთან“ და „ბარსელონასთან“ ერთად უამრავი ლირებული ტიტული მოიგო...

ისტორიას თუ გადახვებავთ, საფეხბურთო კლასიკად აღიარებულ არაერთ თამაშს აღმოვაჩენთ, მაგრამ

ისტორიული ჩაქჩხი

უტიტულო ღარიანი ელი გუნდი

უნგრეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ორჯერ აქვს მონაწილეობა მიღებული. პირველად უნგრელები 1938 წელს დიერდ შაროშისა და დიულა ჟენგელერის შესანიშნავი თამაშის წყალობით გავიდნენ ფინალში, სადაც იტალიის ნაკრებთან 2:4-ზე დამარცხდნენ.



ბურთით – ლეგენდარული ფერენც პუშკაში

თექვსმეტი წლის შემდეგ უნგრეთის ნაკრებმა, რომელიც ისტორიაში დიდი გუნდის სახელით არის შესული, კვლავ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში. დიდი გუნდის გამოკვეთილი ლიდერები, ლეგენდარული ფერენც პუშკაში და შანდორ კოჩიში იყვნენ. მათი წინამძღოლობით უნგრეთის ნაკრებმა ჯგუფში სამხრეთ კორეას 9:0, ხოლო დასა-

კარში ერთი გოლი ლეგენდარულმა სკიაფინომ გაიტანა. ურუგვაელთა რიგებში თითქმის ყველა ის წამყვანი მოთამაშეები იყვნენ, რომლებმაც ბრაზილიაში 1950 წელს სენსაციურად მოიგეს მუნდიალი. გუნდში იყო სკიაფინოც, იმ მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი. 1950 წლის 16 ივლისს რიო-დე-ჟანეიროში, პლანეტის ყველაზე გრანდიოზულ სტადიონ მარაკანაზე, სადაც მაშინ მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში სარეკორდო დასწრება დაფიქსირდა, მატჩის 67-ე წუთზე სკიაფინომ მასპინძელ ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრაში ანგარიში გაათანაბრა. ათ წუთში გიჯამ ორასი ათასზე მეტი მაყურებლის თვალნინ ბრაზილიელ მეკარეს ბარბოსას მეორე გოლიც გაუტანა. ურუგვაიმ 2:1 მოიგო და მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო მატჩის დამთავრების შემდეგ ბრაზილიაში გულის შეტევით მრავალი გულშემატკივარი გარდაიცვალა.



შეტევაზეა შანდორ კოჩიში

ლეთ გერმანიას 8:3 მოუგო. შვეიცარიაში გამართულ მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებში გამოჩნდნენ ჯალმა და ნილტონ სანტოსები, ასევე შეუდარებელი დიდი. ეს ფეხბურთელები შემდგომ მუნდიალებზე იმ საუცხოო გუნდების წევრები იყვნენ, რომლებსაც ხალხმა ფეხბურთის ჯადოქრები უწოდა. მეოთხედფინალში ბრაზილიის ნაკრები სწორედ უნგრეთთან დამარცხდა ანგარიშით 2:4. აღნიშნულ ჩემპიონატზე მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ურუგვაის ნაკრებმაც შთამბეჭდავად ითამაშა. ჯგუფურ ეტაპზე მათ ჯერ ჩეხოსლოვაკია დაამარცხეს 2:0, შემდეგ კი შოტლანდიას გადაურბინეს და შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს. მეოთხედფინალში ურუგვაელებმა ინგლისის ნაკრებს სძლიეს ანგარიშით 4:2. ინგლისელთა

მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში ერთმანეთს უნგრეთი და ურუგვაი შეხვდა. მძაფრ ორთაბრძოლაში უნგრეთის ძლიერმა გუნდმა მოქმედ ჩემპიონს, ურუგვაის ნაკრებს 4:2 მოუგო და ფინალში გავიდა. ფინალში უნგრეთის ნაკრებს დასავლეთ გერმანიის ნაკრები შეხვდა. უნგრელები და გერმანელები ჯგუფურ ეტაპზეც ეთამაშნენ ერთმანეთს. როგორც მოგახსენეთ, იმ მატჩში თერთმეტი გოლი გავიდა და აქედან რვა ბურთი გერმანელთა მეკარის ჰაინც კვიატოვსკის კარის ბადეში მოთავსდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა ზებ ჰერბერგერმა იმ მატჩში, ერთბაშად, ხუთი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ ათამაშა. ფინალში კი სრულიად ოპტიმალური შემადგენლობით წარდგა მეტოქის წინაშე, მაგრამ უნგრეთი პუშკაშისა და ციბორის გოლებით მალე დანიშნურდა და მერვე წუთისთვის ჰერბერგერის განვრთნილი გუნდი უკვე 0:2-ზე მარცხდებოდა. გერმანელები მატჩის ასეთ განვითარებას არ შეურიგდნენ, მათთვის დამახასიათებელი შეუპოვარი ხასიათი გამოავლინეს, ბოლომდე იბრძოლეს და საბოლოოდ ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს. უნგრეთის ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა, უნგრელი შანდორ კოჩიში კი თერთმეტი გატანილი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან ფინალური შეხვედრის გარდა, ყველა მატჩში შეძლო თავის გამოჩენა, ჯგუფურ ეტაპზე კი გერმანიის ფედერაციულ ნაკრებს სულაც ოთხი გოლი გაუტანა.



უნგრეთის დიდი გუნდის ვარჯიში


თარიღი



2013 წლის 26 ოქტომბერს ფეხბურთი 150 წლის ხდება – ყველაფერი კი შორეულ 1863 წლის 26 ოქტომბერს დაიწყო. აღნიშნულ დღეს ლონდონის ერთ-ერთ ლუდხანა „ფრიმენ თაუნში“, თავი მოიყარეს ქალაქის საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლებმა. მათ უნდა დაეკანონებინათ ფეხბურთის თამაშის საერთაშორისო წესები. საბოლოო ჯამში მათ მიიღეს ფეხბურთის თამაშის ცამეტი ძირითადი პუნქტი. ისინი დღესაც შეადგენენ საფეხბურთო კოდექსის ძირითად საფუძველს.

იმავგე სადამოს მსოფლიოში პირველი საფეხბურთო ასოციაციაც დაფუძნდა – **The Football Association** და იქედან მოყოლებული 1863 წლის 26 ოქტომბერი ითვლება თანამედროვე ფეხბურთის დაბადების დღედ.

ჟურნალი „კომენტარი“ ფეხბურთის ყველა მოყვარულს ულოცავს ამ თარიღს!



კრიტიკა

მოხიერის ძახტყმა და ინგლისური მეკაიხეუბი

ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს ინგლისისა და კოლუმბიის ეროვნული გუნდები ხვდებოდნენ. თამაშის ოცდამეორე წუთზე ინგლისელმა ჯეიმს რედნაპმა დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან ბურთი კოლუმბიელთა კარის მიმართულებით დაარტყა. ამ დროს ნებისმიერი მეკარე ბურთს ხელით დაიჭერდა, მაგრამ ტრიუკების ოსტატი იგიტა ასე არ მოიქცა და როდესაც ბურთი მიუახლოვდა, წინ გადახტა, ჰაერში ბრუნე გააკეთა და კარისაკენ მიმავალი მრგვალი სფერო ფეხის ტერფებით შორს მოიგერია. ამ ფანტასტიკურ უზადო ტრიუკს სახელი თვითონ ავტორმა შეურჩია და „მორიელის დარტყმა“ უწოდა.

ყოველივე ამის შემდგომ ინგლისურ ფეხბურთში მოღვაწე თითქმის ყველა სუბიექტმა დაგმო იგიტას ამგვარი ქმედება. დაწყებულ მეკარეებს კი მოუწოდებდნენ, იგიტასათვის არ მიეხატათ და თამაშის დროს ტრიუკების შესრულებაზე არ ეფიქრათ, რადგან ამით საფრთხეს შეუქმნიდნენ გუნდის ინტერესებს.

არადა, სჯობდა, ინგლისური ფეხბურთის კეთილმოსურნეებს რენე იგიტას ამ მართლაც შეუდარებელი ტრიუკის წინააღმდეგ კი არ გაეღაშებოდა, არამედ ქედი მოეხარათ მისთვის და მადლობა გადაეხადათ, რადგან მათივე გამოგონილ ამ დიდებულ თამაშს სწორედ იგიტასნაირი პიროვნებები ალამაზებენ.

ინგლისის ნაკრების კარში, მართლაც რომ ლეგენდარული გორდონ ბენქსის შემდეგ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ჩათვლით, პიტერ შილტონისა და დევიდ სიმენის გარდა, სხვა მეკარე არ მდგარა. ბენქსმა მსოფლიო ჩემპიონატი 1966 წელს მოიგო, 1970 წელსაც ეროვნული გუნდის ღირსებას იცავდა და, წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი დეფიციტი იყო კვალიფიციური მეკარეებისა ინგლისში, რომ იქიდან მოყოლებული, ოცდათორმეტი წლის განმავლობაში, მსოფლიო ჩემპიონატებზე ინგლისის ნაკრების კარი მხოლოდ ორმა მეკარემ დაიცვა. შილტონიცა და სიმენიც, ხუმრობით შეიძლება ითქვას, ღრმა სიბერემდე იდგნენ თავიანთი გუნდების სადარაჯოზე, ხოლო ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში, ინგლისური წამყვანი კლუბების კარს ხომ თითქმის სულ უცხოელი მეკარეები იცავდნენ.

ექსტრავაგანტური კოლუმბიელი მეკარის რენე იგიტას სხენებაზე ფეხბურთის გულშემატკივრებს, პირველ რიგში, 1995 წლის 6 სექტემბერს „უემბლის“ სტადიონზე მის მიერ შესრულებული ტრიუკი გაახსენდებათ, რომელმაც მაშინ მთელი საფეხბურთო სამყარო განაცვიფრა. მან წამის მემსედაში მიიღო უაღრესად სარისკო, სპონტანური გადაწყვეტილება და ამით უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა თავისი სანაკრებო კარიერა. მეორე მხრივ კი, ალბათ, კარგად იცოდა, თუ ამ ორიგინალურ ქმედებას წარმატებით შეასრულებდა, სამუდამოდ დაიკავებდა მსოფლიო ფეხბურთში გამორჩეულ ადგილს. მაინც რა მოხდა ასეთი?



რენე იგიტას „მორიელის დარტყმა“

დევიდ სიმენის საფეხბურთო კარიერიდან მიინდა, ორი მომენტი გავიხსენო და დანარჩენი თავად განსაჯეთ.

1995 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალში ერთმანეთს „სარაგოსა“ და „არსენალი“ შეხვდა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ძირითად დროს დამატებულ მეორე თხუთმეტწუთიანი ტაიმის უკანასკნელ წამებზე „სარაგოსას“ ფეხბურთელმა ნაიმმა მოედნის ცენტრიდან გაგზავნა ბურთი სიმენის კარისკენ და გოლი გაიტანა, „სარაგოსა“ კი თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. ამ

შემთხვევიდან შვიდი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში რონალდინიომ ოცდათხუთმეტი მეტრის დისტანციიდან სიმენს გამარჯვების გოლი გაუტანა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – ფეხბურთის სამშობლოს ეროვნული ნაკრები ტიტულებს ვერ იგებს და ვერც ძლირი მეკარეებით დაიკვებინს.



ინგლისელი მეკარე დევიდ სიმენი

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი „კოპა სუბკონტინენტი“

მსოფლიოში ყველაზე ძველი საერთაშორისო წყურჩილი ფეხბურთში



თარიღი	მასპინძელი	ჩემპიონი
1916 წელი	არგენტინა	ურუგვაი
1917 წელი	ურუგვაი	ურუგვაი
1919 წელი	ბრაზილია	ბრაზილია
1920 წელი	ჩილე	ურუგვაი
1921 წელი	არგენტინა	არგენტინა
1922 წელი	ბრაზილია	ბრაზილია
1923 წელი	ურუგვაი	ურუგვაი
1924 წელი	ურუგვაი	ურუგვაი
1925 წელი	არგენტინა	არგენტინა
1926 წელი	ჩილე	ურუგვაი
1927 წელი	პერუ	არგენტინა
1929 წელი	არგენტინა	არგენტინა
1935 წელი	პერუ	ურუგვაი
1937 წელი	არგენტინა	არგენტინა
1939 წელი	პერუ	პერუ
1941 წელი	ჩილე	არგენტინა
1942 წელი	ურუგვაი	ურუგვაი
1945 წელი	ჩილე	არგენტინა
1946 წელი	არგენტინა	არგენტინა
1947 წელი	ეკვადორი	არგენტინა
1949 წელი	ბრაზილია	ბრაზილია
1953 წელი	პერუ	პარაგვაი
1955 წელი	ჩილე	არგენტინა

თარიღი	მასპინძელი	ჩემპიონი
1956 წელი	ურუგვაი	ურუგვაი
1957 წელი	პერუ	არგენტინა
1959 წელი	არგენტინა	არგენტინა
1959 წელი	ეკვადორი	ურუგვაი
1963 წელი	ბოლივია	ბოლივია
1967 წელი	ურუგვაი	ურუგვაი
1975 წელი	–	პერუ
1979 წელი	–	პარაგვაი
1983 წელი	–	ურუგვაი
1987 წელი	არგენტინა	ურუგვაი
1989 წელი	ბრაზილია	ბრაზილია
1991 წელი	ჩილე	არგენტინა
1993 წელი	ეკვადორი	არგენტინა
1995 წელი	ურუგვაი	ურუგვაი
1997 წელი	ბოლივია	ბრაზილია
1999 წელი	პარაგვაი	ბრაზილია
2001 წელი	კოლუმბია	კოლუმბია
2004 წელი	პერუ	ბრაზილია
2007 წელი	ვენესუელა	ბრაზილია
2011 წელი	არგენტინა	ურუგვაი



ევროპის ჩემპიონატი - ეასპინკლეზი დჲ ჩემპიონეზი

თარიღი	მასპინძელი	ჩემპიონი
1960 წელი	საფრანგეთი	საბჭოთა კავშირი
1964 წელი	ესპანეთი	ესპანეთი
1968 წელი	იტალია	იტალია
1972 წელი	ბელგია	დასავლეთ გერმანია
1976 წელი	იუგოსლავია	ჩეხოსლოვაკია
1980 წელი	იტალია	დასავლეთ გერმანია
1984 წელი	საფრანგეთი	საფრანგეთი
1988 წელი	დასავლეთ გერმანია	ჰოლანდია
1992 წელი	შვედეთი	დანია
1996 წელი	ინგლისი	გერმანია
2000 წელი	ბელგია და ჰოლანდია	საფრანგეთი
2004 წელი	პორტუგალია	საბერძნეთი

თარიღი	მასპინძელი	ჩემპიონი
2008 წელი	ავსტრია და შვეიცარია	ესპანეთი
2012 წელი	პოლონეთი და უკრაინა	ესპანეთი



კონფედერაციის თასი - ეასპინკლეზი დჲ ჩემპიონეზი



თარიღი	მასპინძელი	ჩემპიონი
2001 წელი	სამხრეთ კორეა და იაპონია	საფრანგეთი
2003 წელი	საფრანგეთი	საფრანგეთი
2005 წელი	გერმანია	ბრაზილია
2009 წელი	სამხრეთ აფრიკა	ბრაზილია
2013 წელი	ბრაზილია	ბრაზილია

თარიღი	მასპინძელი	ჩემპიონი
1992 წელი	საუდის არაბეთი	არგენტინა
1995 წელი	საუდის არაბეთი	დანია
1997 წელი	საუდის არაბეთი	ბრაზილია
1999 წელი	მექსიკა	მექსიკა





ორი მატყური

მსოფლიო ჩემპიონატების გურთების
1974 წელი, გფრ. მსოფლიო ჩემპიონა
გფრ – ჰოლანდია. „აღიღასის“
ჩემპიონატის გურთი „ტელსტარ“




კოლექციიდან:
ბრუნის ფინალი:
მსოფლიო
ჩემპიონატი



זה נצח, נצח!..

המובן הנצח



საფანჯრით გიგანტთა

ატგუნცინა 78

ხშირად ამბობენ, „ინგლისური ფეხბურთი“, „იტალიური ფეხბურთი“, თუნდაც „ქართული ფეხბურთი“. შეიძლება ეს ცნებები უფრო დავამსხვილოთ საერთო თვისებების მიხედვით, – „ჩრდილოეთის ფეხბურთი“, „სამხრეთის ფეხბურთი“ ან „ევროპის ფეხბურთი“, „სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი“.

ბუნებრივია, ამ გამოთქმებს აქვთ ლოგიკური აზრი. რასაკვირველია, არსებობს განსხვავება სხვადასხვა საფეხბურთო სკოლებს შორის, მაგრამ მათ შორის საერთო მაინც უფრო მეტია, ვიდრე განმასხვავებელი თვისებები.

ერთადერთი ქვეყანა, რომლის ფეხბურთი ძალზე მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების ფეხბურთისგან, არის ბრაზილია. აქ მარტო ვირტუოზულ ტექნიკას როდი ვგულისხმობთ, ასე მომადლებული რომ აქვთ ბრაზილიელ ფეხბურთელებს. განსხვავებულია თვით მათი ტექნიკაც, ბურთის ფლობის მანერაც, პასიც, დარტყმაც. განსხვავებულია მათი მოძრაობა და სირბილი მოედანზე. ისინი თითქოს დასიცხული პანთერებივით დაიზღაზნებიან, მაგრამ როგორი გაფიცხება, აფეთქება და კამარის შეკვრა იციან, როცა „მსხვერპლი“ ნიშანში ჰყავთ ამოღებული.



გავიხსენოთ მათი ორთაბრძოლა პოლონელებთან – რა ქარიშხალი დაატრიალეს მოედანზე, როცა ბურთი ზედიზედ გაახვიეს მონინალმდევგის კარის ბადეში.

ძალზე ტემპერამენტიანი, მაგრამ ობიექტური არგენტინელი მყურებელი ყველაზე „მტრულად“ ბრაზილიის ნაკრებს შეხვდა. მაგრამ ტრიბუნებზე ყოველთვის ჰქუხდა ტაში, როცა ბრაზილიელები ბურთს ლამის აამღერებდნენ ხოლმე.

საოცარი იმპროვიზაცია, გამომგონებლობა, იდეათა მოულოდნელობა და გამბედაობა,



ქართველი მწერალი გურამ ფანჯიკიძე, რომელმაც ფანტასტიკური და სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებებით დაგვამახსოვრა თავი, ასევე არა ერთი შესანიშნავი საფეხბურთო წიგნისა და სტატიის ავტორიც არის. იგი რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონატის დამსწრე იყო და როგორც უშუალო მონაწილე მრავალი საინტერესო შთაბეჭდილება გაუზიარა მკითხველს. გთავაზობთ გურამ ფანჯიკიძის ერთ-ერთი საფეხბურთო წიგნის ამონარიდს, რომელიც არგენტინის 1978 წლის მსოფლიო პირველობას ეხება...

რიტმის ცვალებადობის დიდი უნარი და ბოლოს – უბრწყინვალესი დარტყმები.

აქამდე ვიცოდით, რომ „ხმელი ფოთოლი“ შეიძლება მხოლოდ მაშინ დაარტყა, როცა ბურთი გაჩერებულია. მაგრამ იტალიელებთან ორთაბრძოლაში ჯერ ნელინიომ გარღვევაზე გასვლის დროს უნაკლოდ შეასრულა ეს დარტყმა, შემდეგ კი დირსეუმ ასევე სირბილის დროს დაატრიალა „ხმელი ფოთოლი“. ორთავე შემთხვევაში ძოფი უმწეო აღმოჩნდა, მაყურებელი კი ააღელვა და ალაფროთოვანა ამ ორმა ულამაზესმა

გოლმა.

მაგრამ... მაგრამ ბრაზილიის გუნდი ისეთი არ იყო, როგორც იგი გვინახავს შვეციის, ჩილეს და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატებში. დიდ წარმატებებს ხომ თვითონ მიგვაჩვიეს ბრაზილიელებმა. აბა გავიხსენოთ, რამდენი კამათი იყო შვეიცარიაში ჩემპიონის თაობაზე – უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ოქროს ქალღმერთი უნგრეთს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე გერმანიას; გავიხსენოთ ინგლისის ჩემპიონატი. თუ უმრავლესობას არა, გულშემატკივართა ნახევარი მაინც მიაჩნდა, რომ ამჯერად გერმანელებს უფრო ეკუთვნოდა ჩემპიონის ტიტული. გავიხსენოთ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატიც – აქაც უმრავლესობა თვლიდა, რომ პოლანდია უფრო ღირსი იყო ასულიყო საფეხბურთო ოლიმპზე.

არასდროს არაფერი არ ყოფილა საკამათო, როცა ჩემპიონები ბრაზილიელები ხდებოდნენ ხოლმე.

ჩემპიონატის წინ ევროპაში შეს-

ანიშნავად ითამაშეს ბრაზილიელებმა. კიდევ უფრო შთამბეჭდავად ჟღერდა მათი მწვრთნელის კლასიკური კოუჩინოს სიტყვები: – ევროპაში ჩემმა ბიჭებმა თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 70 პროცენტი აჩვენესო. მაგრამ ჩემპიონატის დასაწყისში ბრაზილიელებმა თავის გულშემატკივრებს ცივი წყალი გადაასხეს.

გაზეთები წერდნენ, ბრაზილიელები ძალზე უკმაყოფილონი არიან ჰონორარით და ასე უხალისოდ იმიტომ თამაშობენო. არ ვიცი, ეს მორიგი საგაზეთო ჭორი იყო თუ სინამდვილე. ფაქტი ერთია, ჩემპიონატის დასაწყისში ბრაზილია არ ჰგავდა გუნდს, რომელსაც შორი მიზნები ჰქონდა.

მაგრამ ისინი თანდათან აუმაჯობესებდნენ თამაშს და მაშინ, როცა სხვა გუნდები უკვე ენერჯის უკანასკნელ მარაგს ხარჯავდნენ მოედანზე, ბრაზილიელებს თავისუფლად შეეძლოთ კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონატი ჩაეტარებინათ. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ისინი მაშინ „გახურდნენ“. როცა ყველაფერი დამთავრებული იყო.

და მაინც ბრაზილიის გუნდს ჰქონდა სუსტი წერტილები. მას აშკარად აკლდა ისეთი რანგის ლიდერები, როგორებიც იყვნენ ტოსტაო, ჟაირზინიო და... თვით რიველინო – ისეთი რიველინო, მექსიკის ჩემპიონატიდან რომ გვახსოვს. აღარაფერს ვამბობ პელესა და გარინჩაზე. ისინი არამცთუ ბრაზილიის ნაკრებს, თვით მთელ ჩემპიონატს აკლდნენ.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიელები მაინც მიაღწევდნენ თავიანთ მიზანს, თავდასხმაში რომ ჰყოლოდათ ორი (ან თუნდაც ერთი) კარზე დაგეშილი ფეხბურთელი, თუნდაც ისეთი, როგორიც ვავა იყო. „თეთრ პელედ“ მონათლულმა ზიკომ იმედები გაკვიცრუა. მე, პირადად, ადრე მისი თამაში არ მინახავს და არ შემიძლია ავხსნა ბრაზილიელთა იმედის სუსტი თამაშის მიზეზები.

და თუ ბრაზილია თამაშს მატჩიდან მატჩამდე აუმაჯობესებდა, იტალიელები, პირიქით, ფინალურ

თამაშებამდე ისე მოხიბლეს მაცურებელი, რომ „სკუადრა აძურა“ ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად მიიჩნიეს. მაგრამ ჩემპიონატის მეორე ნახევარში გამოუცდელი თვალც შეამჩნევდა, რომ ისინი ენერჯიას ვერ ანანილებდნენ და შეხვედრის მეორე ნახევარში ძველებურად ვერარ თამაშობდნენ.

იტალიელები არგენტინაში თავს ისე გრძობდნენ, როგორც შინ. გავიხსენოთ, რომ არგენტინის მოსახლეობის 40 პროცენტს იტალიელები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, მათ აღარც ენერჯია ეყოთ და აღარც ფსიქოლოგიური მომზადება. იტალიელ ფეხბურთელებს სასონარკვეთა იპყრობდა, როცა ბურთი მათ კარში გადაიოდა. გავიხსენოთ თუნდაც მატჩი ჰოლანდიელებთან.



მიუხედავად ამისა, იტალიის ნაკრების წარუმატებლობამ მილიონობით გულშემატკივარს დასწყვიტა გული. ამის უპირველესი მიზეზი იყო არა მარტო მათი სიძლიერე, არამედ ის სილამაზეც, რითაც ასე ხიბლავდა მაცურებელს ბეტეგასა და როსის გუნდი.

„იგრძნობოდა თუ არა ვარსკვლავების სიმცირე?“

„რა ტაქტიკური სიახლეებით გაამდიდრა ფეხბურთი არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატმა?“

მოდით, ეს ორი კითხვა გავაერთიანოთ, რადგან ისინი ერთმანეთს ერწყმიან. თანაც გულშემატკივართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არგენტინის ჩემპიონატი არც ვარსკვლავებით ბრწყინავდა და არც ტაქტიკური სიახლეებით გავეუცებებო.

მე ვერ დავეთანხმები ამ შეხედულებების ავტორებს და აი, რატომ: ერთი კია, აქ საფეხბურთო აზ-

როვნებასა და ტაქტიკაში ისეთი „რევოლუცია“ არ მომხდარა, როგორც შვეციის ჩემპიონატზე მოხდა. ბრაზილიელთა ახალი სისტემა 1-4-2-4 მთელი აღმოჩენა იყო. მას შემდეგ ფეხბურთი ძალზე წინ წავიდა. ახლა ძნელია, ყოველმა ჩემპიონატმა ამ რანგისა და მასშტაბის რეფორმები მოახდინოს ფეხბურთში. გულუბრყვილობაა, ყოველ მომდევნო ჩემპიონატში ტექნიკურ რევოლუციას ელოდო.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე საფეხბურთო აზროვნებაში გადატრიალება არ მომხდარა, მაგრამ სიახლეები იყო, თანაც მნიშვნელოვანი სიახლეები.

უპირველეს სიახლედ, პირადად მე, ის მიმაჩნია, რომ იგი თავისი პრინციპით, ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით აბსოლუტურად დაუპირისპირდა წინა, გერმანიის ჩემპიონატს.

თითქოს სიმბოლურად იყო: არგენტინისა და ჰოლანდიის ორთაბრძოლა ფინალში ამ ორი ჩემპიონატის პრინციპული პაექრობაც გახლდათ.

რენსენბრინკის ბურთი რომ ძელს არ მოხვედროდა, მაშინ ვნახავდით, ვინ იქნებოდა მსოფლიო ჩემპიონი. მაშინ ვნახავდით, ვინ გაიმარჯვებდა ამ ორი ჩემპიონატის პაექრობაში. – ამბობენ ტოტალური ფეხბურთის მომხრენი.

ასე მსჯელობა არ შეიძლება და თუ საქმეს მაინც ასე მივუდგებით და საკითხების გარკვევას ამ მეთოდებით დავინყებთ, მაშინ კეთილი ვინებოთ და ყველა ის მომენტი გავიხსენოთ, მთელი ჩემპიონატის მანძილზე რამდენჯერაც იხსნა ძელმა კარი. ვინ იცის, მაშინ როგორ დატრიალდებოდა ბედის ბორბალი.

მეორეც, რაკი მაინცდამაინც ვებლაუქებით რენსენბრინკის ამ უიღბლო დარტყმას, თუ ამ მომენტს ობიექტურად აღვიდგენთ გონებაში, ჰოლანდიელმა ძალზე უხერხული მდგომარეობიდან გარედან მოარტყა ბურთი ძელს. ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც რენსენბრინკს შეეძლო. ასეთ დროს არ იტყვიან ხოლმე – „ძელმა იხსნა მოწინააღმდეგის კარიო“.



მაგრამ, ვთქვათ, გასულიყო ეს გოლი. რა მოხდებოდა მაშინ? არგენტინელები დარჩენილი დროის სიმცირის გამო ვეღარ მოასწრებდნენ ბურთის გაქვითვას. აღარ იქნებოდა ის ულამაზესი დამატებითი ტაიმი, რომელმაც მთელი პლანეტის ასეული მილიონობით ადამიანი მოხიბლა და ააღელვა.

ამ გოლით არგენტინის ჩემპიონატი დამთავრდებოდა ძალზე უფერულად, ვნებათა ღელვის გარეშე, ხოლო ფეხბურთი კიდევ ოთხი წელიწადი ივლიდა ძველი გზით, ტოტალური ფეხბურთის გზით. კიდევ ოთხი წელი მოხდებოდა ფეხბურთში პიროვნებების, ლიდერების, ბელადების ნიველირება, კიდევ ოთხი წელი საფეხბურთო რომანტიკულ იდეებს მოგუდავდა მკაცრი პრაქტიციზმი და მკაცრი ანგარიში.

და თუ ამ ჩემპიონატში არ იგრძნობოდა ვარსკვლავების სიუხვე, არ მიგაჩნიათ, რომ ეს ტოტალური იდეების ოთხწლიანი ბატონობის შედეგად არის?

სჯობია შევეშვათ თეორიულ მსჯელობას და დავუბრუნდეთ რეალობას. პრინციპულ პაექრობას გერმანიისა და არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატებს შორის პასუხი გასცა მესამე – დამატებითმა ტაიმმა, აქ შემტევმა ფეხბურთმა თავისი სიტყვა თქვა. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი საერთოდ გამოირჩეოდა თავდამსხმელთა სიმრავლით, ისევე გაიხსენეს ფლანგებიდან იერიში. შემტევი ფეხბურთის ტონის მიმცემად თვით არგენტინელები მოგვევლინენ.

და კიდევ ერთი სიახლე – ძალზე ძლიერი პასები მაშინაც კი, როცა ფეხბურთელი თავის პარტნიორს თუნდაც სულ ახლო მანძილზე აწვდიდა ბურთს. ეს ავთანდილ ჭკუასელმა მიგვანიშნა პირველსავე მატჩზე. ასეთი ძლიერი გადაცემები ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ახლა ძალზე გაიზარდა ფეხბურთელების ფიზიკუ-

რი მომზადება და სისწრაფე. ამიტომ, ბუნებრივია, ძალზე შეიზღუდა ფეხბურთელის სამოქმედო არე. რბილად გადაწოდებული ბურთების უმრავლესობა მონინალმდეგის ლუკმა ხდება. თავის მხრივ, ასეთი ძალით ჩაჭრილი ან გადაწოდებული ბურთის მიღება და შეზღუდულ არეში დაშუშავება ფეხბურთელისგან დიდ ოსტატობას მოითხოვს.

სკეპტიკოსთა სანინალმდეგოდ მე მაინც ვფიქრობ, რომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე საკმაოდ იყვნენ ვარსკვლავები. თუნდაც ლუკე და ბერტონი, რენსენბრინკი და ნეესკენსი, დირსეუ და ტონინიო, ბეტეგა და როსი, ტრეზორი და არდილესი... (სამწუხარო იყო, რომ არგენტინელმა ლუკემ ბოლომდე ვერ გვიჩვენა თავისი ძალა. მან საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ ხელი მოიტეხა. მაგრამ უფრო დიდი ტრაგედია დაატყდა თავს, რომელიც მატჩის დროს არ იცოდა: იმ დღეს მისი ძმა ქალაქგარეთ იმყოფებოდა და მატჩზე დასასწრებად მიისწრაფოდა, გზაში ავტოკარიაში მოჰყვა და დაიღუპა. შემდგომში ამან დიდი დანი დაამჩნია ლუკეს თამაშს).

კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე ფეხბურთელის ჩამოთვლა, მათ თავში კი მინდა მარიო კემპესი დავაყენო – ან, როგორც მას ეძახიან, არგენტინელებისა და ესპანელების „საყვარელი ბიჭუნა“.

ერთი კია, იქნებ ეს ვარსკვლავები ისე არ კაშკაშებდნენ, როგორც პელე, გარინჩა, ეუსებო ან ბობი ჩარლტონი, მაგრამ მარიო კემპესი არც ერთ სხვა ვარსკვლავს არ ჩამოუვარდებოდა არც თავისი ინდივიდუალური სიძლიერით, არც ტაქტიკური აზროვნებით, არც ბრძოლის წყურვილით, არც ლიდერის

თვისებებით და არც არტისტიზმით, ასე რომ ხიბლავს მაყურებელს. ესპანეთში იტყვიან ხოლმე, ამ ტორეადორს ნამდვილი „აფისონი“ აქვსო. „აფისონის“ ცნება გამოხატავს ტორეადორის ნაღდ ალტკინებას, ნაღდ შინაგან ტემპერამენტს, უშუალო, ბუნებრივ არტისტიზმს და უპირისპირდება ყალბ თეატრალობას, ხელოვნურ ვნებათა ღელვას. შეიძლება ითქვას, რომ ფინალურ მატჩში ამ „აფისონით“ ბრწყინავდა არგენტინის მთელი გუნდი და, რასაკვირველია, პირველ რიგში მათი ლიდერი – მარიო კემპესი.

პელემ მისი თამაშის მანერა დისტეფანოს თამაშის მანერას შეადარა, თუმცა ისიც დასძინა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი უკვბ დისტეფანოსოდენა ფეხბურთელიაო.

კორესპონდენტი კომენტარს უკეთებს პელეს სიტყვებს და წერს: მარიო კემპესის გრძელნამნამებიანი თვალებიდან სევდა იღვრება, დისტეფანოს მაღალი შუბლის ქვეშ განლაგებული თვალები კი ნაპერწკლებს ყრიდაო. მოედანზე არ იგრძნობა ცხოვრებაში ძალზე კეთილი, ხათრიანი, თავდაჭერილი და სანიმუშო ყოფაცქცევის ყმანვილის ხასიათი. იგი მთელი მატჩის მნძილზე იბრძვის გააფთრებული.

დღეს ვარსკვლავებსაც ძალზე გაურთულდათ ცხოვრება. ამიტომაც ამბობდა პელე: სათამაშო სივრცეები ისე საგრძნობლად შეიზღუდა, ახლა თამაში თვით გარინჩას და ჟორჯინოსაც კი გაუჭირდებოდათო.

ისე ამაღლდა ფეხბურთის კლასი, ისეთ კონდიციამდე მიყვანილი ფეხბურთელთა შესაძლებლობანი, რომ აღარ კმარა მატჩის მანძილზე მხოლოდ ეპიზოდებში იყო ვარსკვლავი.

დღეს, უმაღლესი რანგის შეჯიბრებების დროს, ვარსკვლავის



ტალანტი ფასდება იმით, თუ მატჩის განმავლობაში რამდენ დროს და მოედნის რა სივრცეზე ახდენს გავლენას მისი თამაში.

იგი გუნდის ლიდერი და იერიშების სულისჩამდგმელი უნდა იყოს არა მარტო ალმაფრენის დროს, არამედ ყველაზე უიმედო წუთებშიც.

ამ საზომებით თუ მივუდგებით, მარიო კემპესი მართლაც პირველი ვარსკვლავი იყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატისა. კემპესი მოქმედებს მოედნის თითქმის სამ მეოთხედზე, თამაშზე ზეგავლენას ახდენს მთელე მატჩის მანძილზე, არ ჰკარგავს მასშტაბურობას და ვარსკვლავად რჩება მაშინაც, როცა უკან იხევს. კემპესი დაცვაშიც იერიშს იწყებს. იგი არა მარტო გრძნობს საგოლე სიტუაციებს, არამედ თვითონაც ჰქმნის მას.

კემპესმა და მისმა გუნდმა, ჩემის აზრით, სწორი ორიენტირი მისცეს მსოფლიო ფეხბურთს.

კიდევ ერთი არგუმენტი მინდა მოვიყვანო ტექნიკური ფეხბურთის სასარგებლოდ. ამჯერად ეს არგუმენტი წმინდა სტატისტიკურ სფეროს განეკუთვნება.

წერილში „ფეხბურთის სამშობლოში“ ვწერდი: ჩემპიონატების ბოლოს ყურნალისტებს უყვართ-მეთქი



საკითხის დაყენება: ევროპა თუ სამხრეთ ამერიკა?

ფიქრობ, ეს არაა სწორი და აირატომ: სამხრეთ ამერიკაში მხოლოდ ოთხი ძლიერი საფეხბურთო სახელმწიფოა (ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, პერუ), ევროპაში კი მათი რიცხვი ოცს მაინც აღწევს.

ასეთივე შეფარდებაა ჩემპიონატების დროსაც. კერძოდ, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში ათი

ევროპული გუნდი გამოდიოდა, სამხრეთ ამერიკისა კი ოთხი. მიუხედავად ამისა, ოფიციალური ანგარიშით ჯერჯერობით წინაა სამხრეთ ამერიკა 6:5; მაგრამ შემოთქმულ პროპორციებსაც თუ გავითვალისწინებთ, სამხრეთ ამერიკელთა უპირატესობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას მშრალი სტატისტიკური ციფრი 6:5 გამოხატავს.



ეოკოლოგიური ყურნალი
თქვენი პატარებისათვის.
მოკითხეთ პრესის
გაერცელოების ობიექტებში.

ერთი ღამე და მთელი ცხოვრება

აკაკი ბელოძე



წიგნის მოყვარულებს ვთავაზობთ აკაკი ბელოძის წიგნს – „ერთი ღამე და მთელი ცხოვრება“. იყიდება წიგნების მაღაზიებში: „პარნასი“ (თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. 22) და „სამშობლო“ (თბილისი, ყაზბეგის პროსპექტი №4)

წიგნის თაზო

თევროხე

გამოვიდა ვახტანგ ხუციშვილის ნოველა „თევდორე“.

კომპაქტდისკზე ჩანერილ ვიდეოგოლთან ერთად. წიგნი იყიდება „ბიბლუსის“ წიგნების მაღაზიათა ქსელში თბილისშიც და რეგიონებშიც.



ჩვენები

მესამე



რონალდო და მესი ბურთისთვის იბრძვიან

დღესდღეობით პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები არგენტინისა და პორტუგალიის ნაკრებების თავდამსხმელები ლიონელ მესი და კრიშტიანო რონალდო არიან. ეს მოთამაშეები, რომლებიც აგერ უკვე ოთხი-ხუთი წელია მსოფლიოს რჩეულ ფეხბურთელთა რიცხვს განეკუთვნებიან – მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან კლუბებში „ბარსელონასა“ და „რეალში“ თამაშობენ. ამ კლუბების მიერ ბოლო წლებში მოპოვებული წარმატებები უპირველესად მესისა და რონალდოს უმაღლესი თამაშის დამსახურებაა. წლებიდან წლები „აიაქსისა“ და „გალათასარაის“ კარში მათ მიერ შესრულებული პეთ-თრიქებიც სწორედ მათი განსაკუთრებულობის სიმბოლური გამოვლინება იყო... მაგრამ მსოფლიო საფეხბურთო ასპარეზზე გამოჩნდა მესამე! ეს არის ბრაზილიელი ნეიმარი. ის უკვე კარგა ხანია ცნობილი მოთამაშეა, თუმცა წელს სხვა აფეთქებით შემოიჭრა საფეხბურთო სამყაროში. კონფედერაციის თასზე აიკლო ნაქები ესპანეთისა და იტალიის ნაკრებები, აღნიშნულ ტურნირზე ყველა

მატჩი უმაღლეს დონეზე ჩატარა და შემდეგ სათამაშოდ ევროპაშიც გადაბარგდა.

დაიხ ნეიმარი კატალონიურ „ბარსელონაში“ ჩაირიცხა და მესისთან ერთად შესანიშნავი შემტევი „დუეტის“ შექმნა. სწორედ ნეიმარის

მიერ მადრიდის „ატლეტიკოს“ კარში გატანილი ეფექტური გოლი გახდა გადამწყვეტი – ამ გოლით „ბარსელონამ“ ახალ სეზონში პირველი ტიტული, ესპანეთის სუპერ თასი მოიგო.

ნეიმარის უპირატესობა ლიონელ მესისთან და კრიშტიანო რონალდოსთან მიმართებაში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით გამოიხატება – ის ბრაზილიელია!

მიუხედავად იმისა, რომ მესი და რონალდოც საფეხბურთო ქვეყნების წარმომადგენლები არიან – პორტუგალიის ნაკრებს თავისი ისტორიის მანძილზე ტიტული საერთოდ არ აქვს მოგებული, ხოლო არგენტინის ნაკრებმა სერიოზულ წარმატებას მრავალი წლის წინ მიაღწია. ისიც აღსანიშნავია, რომ მესი და რონალდო ნეიმარისგან განსხვავებით თავიანთ ეროვნულ გუნდებში ისეთივე წარმატებული თამაშით ვერ დაიკვეხნიან, როგორც „ბარსელონაში“ და „რეალში“ თამაშობენ. ნეიმარი კი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ბრაზილიურ „სანტოსშიც“ ბრწყინავდა, ბრაზილიის ნაკრებშიც „დაფრინავს“ და ბარსელონასაც მშვენივრად შეეწყო...

მსოფლიო ფეხბურთში მესამე გამოჩნდა... ეს ნეიმარია!



ნეიმარი ჩვეულ სტიქიაში

პარიპოქსი

ყველასგან მივიწყებული „ხალხის სისარული“



იყო დრო, როცა მთელი მსოფლიოს გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავდნენ მის სურათებს. იყო დრო, როცა ამ ჭაბუკს მიუძღვნეს კინოფილმი, რომელსაც „ხალხის სისარული“ უწოდეს. იყო დრო, როცა მის სახელს მონინებით, პატივისცემითა და აღტაცებით წარმოთქვამდნენ მსოფლიოს მრავალ ქალაქში. რასაკვირველია, აღარაფერს ვამბობთ რიო-დე-ჟანეიროზე.

როცა ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში გარინჩა მინდვრიდან გააძევეს, ბრაზილიის პრემიერ მინისტრმა სანტიაგოში გაგზავნა დეპუტა, რომელიც შეიცავდა დიპლომატიურად შენიღბულ

მანქანებსა თუ სახლ-კარს, მიწის ნაკვეთებსა თუ ფანტასტიკური თანხების საბანკო ანგარიშებს...

ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, შვეიციაში გამარჯვების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ბანკეტზე, მისთვის

თხოვნას იმის შესახებ, რომ გარინჩასთვის მომდევნო მატჩში არ მიეცათ დისკვალიფიკაცია. როცა ბრაზილიამ მეორედ მოიპოვა ჟიულ რიმეს თასი და ქვეყანა აღტაცებათა გრიგალმა შეძრა, რას არ შეპირდნენ გარინჩას: ავტო-

მოსანვევი ბარათიც კი არ გაუგზავნიათ. დაავიწყდათ მისი მიწვევა ამ იუბილსთან დაკავშირებით გამართულ მატჩზეც, ბრაზილიისა და ფიფას ნაკრებ გუნდებს შორის რომ გაიმართა.

ვინლა არ მიიწვიეს ამ მატჩზე: გადამდგარი გენერლები თუ ესტრადის მომღერლები, ცნობილი ჟოკეები თუ მოდური მკერავები, ტანწერწერა მანეკენები თუ მყვირალა მეკუპლეტეები. მანოელ ფრანცისკო დოს სანტოსი კი ბილეთების რიგში იდგა ათეულ ათასობით რიგით თანამემამულესთან ერთად.



ალექს ფერგიუსონის ფრთიანი ფრასა

1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შესვენებისას წაწმობთქმული სიტყვა:

"ამ თამაშის დასრულების შემდეგ ჩემპიონთა თასი თქვენგან წამდენიმე მეტწმი იდგება და თუ დამაწყხვდით, მასთან შეხების უფლებაც კი არ გექნებათ. თქვენგან უმეტესობა ამ თასს ამასზე მეტად ვერსად წმის მიუახლოვდება. ამიტომ არც კი გასუდოთ, წმ მთედნიდან ბწმთლის და თავის ბოლომდე გადსადების გარეშე გამდხვიდეთ."



ახის თყ ახა ბხაზირიყი ფეხბყითი მსოფრიოში საყკეთესო



ჟონ სლდანი, 1969 წლის საქთაფარი

მათი ზეედრია პატარა და ცარიელი სტადიონები.

ფეხბურთით სწორედ ასეთი გატაცების გამო ააგეს „მარაკანას“ სტადიონი 200 ათასი მაყურებლისათვის. სან-პაულუში წელს ჩადგება მწყობრში „მორუმბის“ სტადიონი, რომელიც 180 ათას გულშემატკივარს დაიტევს. პორტუგალიაში ამ შტატის ფეხბურთის კლუბმა „ინტერნაციონალმა“ ააგო სტადიონი 110 ათასი მაყურებლისათვის, ხოლო „მინეირანის“ სტადიონი, მინას-ჟერაისის შტატში, იტევს 130 ათას ადამიანს.

ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე 200 ათას მცხოვრებიან პატარა ქალაქ არაკაჟუში კი, რომელიც იზოლირებულია სხვა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტებისაგან, 50 ათასი მაყურებლისათვის ააგეს სტადიონი, რომლის გახსნის დღესასწაულზე ბევრმა მსურველმა მაინც ვერ შეძლო ტრიბუნებზე მოხვედრა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო კურიოზს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ სადამდე მივიდა ბრაზილიაში ფეხბურთით გატაცება, ალბათ, ადგილი ჰქონდა

გულახდილად რომ გითხრათ, ჩვენ, ბრაზილიელებს, ეს სწორედ ასე მიგვაჩნია. მაგრამ საქმეის არის, რომ ინგლისელები, იტალიელები, უნგრელები, არგენტინელები და, შეასაძლოა, საბჭოთა გულშემატკივრებიც ასეთივე აზრის არიან თავიანთ ფეხბურთზე. ამაში ცუდი არაფერია. ასეთი შეხედულების წყალობით ყველა ისწრაფვის სრულყოფისაკენ, ამას კი ფეხბურთისათვის მხოლოდ სარგებლობა მოაქვს.

მაგრამ არის თუ არა ბრაზილიური ფეხბურთი თავისებური, სხვა ქვეყნების ფეხბურთისაგან განსხვავებული? დიახ. უდავოდ. პრინციპში, ყოველ ქვეყანას თავისი განსაკუთრებული ფეხბურთი აქვს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი საყოველთაოდ მიღებული ტაქტიკური სისტემებით სარგებლობს. აქ იგივე ხდება, რაც მუსიკაში: ნოტებიცა და ორკესტრის ინსტრუმენტირებაც ერთნაირია, მაგრამ ყოველ ქვეყანას აქვს თავისი საკუთარი ეროვნული მუსიკა. ასევე ყველა ქვეყნის ფეხბურთს აქვს თავისი ეროვნული ხასიათი.

მაგრამ ამასთან, ბრაზილიური ფეხბურთი სხვა ქვეყნების ფეხბურთისაგან მართო ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპით კი არ განსხვავდება, არამედ იმიტაც, რომ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ისეთი პირობები, როგორც არა აქვთ, ან ჯერ არა აქვთ

სხვა ქვეყნებს.

როგორია ეს პირობები?

უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთი ბრაზილიაში უბრალოდ ხალხური ხელოვნების ნაირსახეობა როდია. ეს არის რაღაც უფრო მეტი: ხალხური გატაცება. ინგლისში, მაგალითად, ძლიერ უყვართ ფეხბურთი, მაგრამ, ამასთან, უყვართ რეგბიც, კრიკეტიც და სპორტის სხვა სახეობებიც. ბრაზილიაში კი, მართალია, ფეხბურთის გარდა სპორტის სხვა სახეობებსაც მისდევენ, მაგრამ



გერსონი, პელე და სლდანი



ჩემს პროვინციაში, რიო-გრანდე-დუ-სულში, პატარა ქალაქ ერეშიმში, რომელმაც მსოფლიო „რეკორდი“ დაამყარა. ეს ასე მოხდა: მეზობელ პატარა ქალაქ პასო ფუნდოში გაბედეს სტადიონის გაფართოება. ამ ამბავმა ალაშფოთა ერეშიმის პატივცემული მოქალაქეები, – ეს გამონწვევა იყო, ეშმაკმა დალახვროს!.. შეიკრიბა ქალაქის თავკაცობა, გულშემატკივრები, მოთამაშეები და შეუდგნენ სახსრების შეგროვებას ჩრდილოეთ რიო-გრანდე-დუ-სულში ყველაზე მსხვილი სტადიონის ასაშენებლად! ამ თავყრილობამ რომელიღაც დედაბრის კბილის პროთეზიც კი გაყიდა, მაგრამ სტადიონი მაინც ააშენა. და აი, 45 ათას მაყურებელს ამ სტადიონის ტრიბუნებიდან საყვარელი ფეხბურთით დატკობობის საშუალება მიეცა. მაგრამ აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ქალაქ ერეშიმის მოსახლეობა მხოლოდ 30 ათასამდე მცხოვრებს შეადგენს და მის სიახლოვეს არ არის არც ერთი დასახლებული პუნქტი. ყველაზე ახლომდებარე ასეთი პუნქტი დაახლოებით ექვსი საათის სავალზეა, ისიც საკმაოდ სწრაფი ავტომობილით...

გეფიცებით, არ მეგულება სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც ადამიანები ასე იყვნენ გატაცებული ფეხბურთით! მე ხომ 62 ქვეყანა მაქვს შემოვლილი...

მეორე ადგილზე დავაყენებდი ჩვენი ქვეყნის კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებს, რომლებიც გვიადვილებენ ფეხბურთის თამაშს. ჩვენ შეგვიძლია ფეხბურთის თამაში მთელი წლის განმავლობაში – იანვრიდან დეკემბრამდე. ჩვენი გეოგრაფიული და

კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია მოთამაშეების ფიზიკური განვითარებისათვის. მათი კუნთები მოქნილია და ჩვენს კლიმატში თავისთავად თბება...

მესამეც, მინდა ავლნიშნო, რომ ჩვენთან ფეხბურთის თამაშს ძალზე ადრე იწყებენ... საერთოდ ბრაზილიელი ბავშვი თავისი განვითარებით, ცხოვრების პირობებით მეტად ადრე მწიფდება. ჩვენებურ ბიჭს უკვე თხუთმეტი წლის ასაკში უფროსი ადამიანივით უჩნდება ათასი საზრუნავი. ევროპაში კი თხუთმეტი წლისას – ჯერ ისევ მოკლე შარვალი აცვია და სკოლაში დადის. რასაკვირველია, ამას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები.

ჩვენი მოთამაშის აღზრდას, მის ჩამოყალიბებას ახლავს ათასგვარი მანკიერება თუ სათნოება. როდესაც იგი კლუბში მოდის, ხშირად უკვე შეუძლებელი ხდება მისი გარდაქმნა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ზოგჯერ ჩვენი საუკეთესო „ვარსკვლავები“ იმიტომ კარგავენ გოლს, რომ მას ლამაზ სათამაშო ტრიუქს ამჯობინებენ. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი. გარინჩა სწორედ ასეთი იყო. გამართლებული იქნებოდა თუ არა, გვეცადა მისი გარდაქმნა?..


ასეთია პელებე. მას სიამოვნებას ანიჭებს ბურთის რაც შეიძლება ლამაზად გატანა, თუნდაც ამით ბურთის გატანის სიტუაცია დაკარგოს. ტოსტაო კი სულ სხვაა. იგი თამაშობს უბრალოდ და აქვს კოლექტივიზმის განსაცვიფრებელი გრძნობა. ტოსტაოც გამოჩენილი ფეხბურთელია. მე მრავალი წლის მანძილზე ვიყავი გარინჩას მწვრთნელი „ბოტაფოგოში“, და გადავწყვიტე, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ არ შევეცდებოდი მის ხელახლა აღზრდას. ახლა არც ვნანობ ამას. მე ვცდილობდი გამეგო მისთვის, გამომეყენებინა იგი როგორც პარტიზანი, რომელიც რეგულარულ, კარგად ორგანიზებულ სამხედრო ნაწილს ეხმარება, პარტიზანი თავისი საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული, მაგრამ სასარგებლო და საჭირო გზებითა და მეთოდებით რომ მოქმედებს.



უტევს ტოსტაო

ტაქტიკა

2013 წლის კონფედერაციის თასის ფინალი





1) დაასახელეთ 1994-95 წლებში ჩატარებული ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული კლუბი.



2) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა პირველი მატჩი ითამაშა 1990 წლის 27 მაისს. რომელი ქვეყნის ნაკრებს შეხვდნენ ქართველი ფეხბურთელები?



3) სამხრეთ ამერიკის მთავარი საერთაშორისო სანაკრებო ტურნირი „კოპა ამერიკა“, მსოფლიოში ყველაზე ძველი საერთაშორისო ტურნირია. რომელ წელს ჩატარდა პირველი „კოპა ამერიკა“?



4) დაასახელეთ მსოფლიოს პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის (რომელიც 1930 წელს ურუგვაიში გაიმართა) საუკეთესო ბომბარდირი.



5) დაასახელეთ ფეხბურთელი, რომელმაც ეს სიტყვები თქვა: „ჩემი ქონების 90% დავხარჯე ქალებში, სწრაფ მანქანებსა და სასმელში, დანარჩენი კი გავანიავე.“



6) 1960 წლის 10 ივლისს, პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, ევროპის პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში, საბჭოთა კავშირმა იუგოსლავია

დაამარცხა, ანგარიშით 2:1. ამ მატჩში გოლი ქართველმა ფეხბურთელმაც გაიტანა. დაასახელეთ ის ქართველი ფეხბურთელი.



7) მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი გოლის ავტორი ფრანგი ლუსიენ ლორანია. მან 1930 წლის 13 ივლისს მექსიკის ნაკრებს გაუტანა ბურთი. დაასახელეთ კლუბი, რომელშიც იმ მომენტისათვის ირიცხებოდა ის.



8) დაასახელეთ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ოფიციალური ბურთის სახელწოდება...



9) 1978 წელს თბილისის „დინამომ“ მეორედ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ვინ იყო მაშინ დინამოელთა კაპიტანი?



10) დაასახელეთ ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც 1988 წელს სეულში ოლიმპიური ოქრო მოიპოვა...



11) ვინ იყო გფრ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატზე?

პასუხები იხილეთ „კომენტატორის“ შემდეგ ნომერში

ტარიელ კინწურაშვილი

ცაფოს იუქსები

ტარიელ კინწურაშვილი


ფუნჯი აპუნიტივი

ხანიელ კინწურაშვილი

ღოჯი ბარდათხინი ტოზი

ტარიელ
კინწურაშვილის
მოთხრობებისა
და ლექსების
ნახვა
შესაძლებელია
ვიზუალურად:
<http://dspace.nplg.gov.ge/>.

სპენსონომ კოსმორი



თარაზულად:

- 1)-საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ მეკარე.
- 2)-მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი იტალიელი მცველი.
- 3)-დაასახელეთ მწვრთნელი, რომლის ხელშიც ლონდონის „ჩელსი“ პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.
- 4)-მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე, რომელი სპორტული ფირმის ეკიპირებით იყვნენ აღჭურვილნი, ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები.
- 5)-დაასახელეთ ფეხბურთელი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ერთ თამაშში ხუთი გოლი აქვს გატანილი.
- 6)-ლონდონის „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი: რობერტო დი
- 7)-დაასახელეთ იტალიელი მცველი, რომელმაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიის ნაკრებს გოლი გაუტანა.
- 8)-მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი ბრაზილიელი მცველი.
- 9)-2013 წლის კონფედერაციის თასის გათამაშებაში, ესპანეთის ნაკრებმა ანგარიშით 10:0 დაამარცხა
- 10)-ესპანური საფეხბურთო კლუბი.
- 11)-ამსტერდამის „აიაქსის“ სტადიონი: „ამსტერდამ
- 12)-რა ერქვა ვეტერან პოლანდიელ თავდამსხმელს – მაკაის?

შვეულად:

- 1)-„მილანის“ მთავარი მწვრთნელი..
- 2)-„პარი სენ ჟერმენის“ იტალიელი მეკარე
- 3)-დაასახელეთ კლუბი, რომელმაც

- 1981 წელს მოიგო ევროპის თასების მფლობელთა თასი.
- 4)-2013 წლის კონფედერაციის თასის გათამაშებაში, რომელ კონტინენტს წარმოადგენდა ნიგერიის ნაკრები?
 - 5)-დაასახელეთ მწვრთნელი, რომელიც 1982 წლის ჩემპიონატზე წვრთნიდა ბრაზილიის ნაკრებს.
 - 6)-დაასახელეთ გერმანელი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალში, არგენტინის ნაკრებს გამარჯვების გოლი გაუტანა.
 - 7)-დაასახელეთ დანიური კლუბი, რომელიც გორის „დილამ“ – 2013-14 წლების ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოთიშა გათამაშებას.
 - 8)-რა ეწოდება მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც მიღებულია როგორც სახელმწიფოებრივი ან კლასობრივი ერთიანობის სიმბოლოდ და რომელიც სრულდება საფეხბურთო ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრის წინ?
 - 9)-მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი.
 - 10)-„მილანის“ ყოფილი ნახევარმცველი – კრისტიან
 - 11)-რა ქვია იმ პირს, ვისაც ფეხბურთის მატჩის მსვლელობის დროს გამოაქვს ესა თუ ის განაჩენი.
 - 12)-ლონდონის სახელგანთქმული სტადიონი.
 - 13)-იტალიური საფეხბურთო კლუბი.
 - 14)-კოლუმბიელი თავდამსხმელი.

სარჩევი

უგოლო ქართული ფეხბურთი	3
სერვანტესისეული ჩვენი ფეხბურთი	5
იკერი და ჯიჯი	7
გერმანელი „იმპერატორი“ და „მფრინავი ჰოლანდიელი“	8
უტიტულოდ დარჩენილი დიდი გუნდი	10
მორიელის დარტყმა და ინგლისელი მეკარეები	12
სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი „კოპა ამერიკა“	13
ევროპის ჩემპიონატი - მასპინძლები და ჩემპიონები	14
კონფედერაციის თასი - მასპინძლები და ჩემპიონები	14
არგენტინა 78	19
მესამე	23
ყველასგან მივიწყებული „ხალხის სიხარული“	24
არის თუ არა ბრაზილიური ფეხბურთი მსოფლიოში საუკეთესო	25
2013 წლის კონფედერაციის თასის ფინალი	27
საფეხბურთო კროსვორდი	29
მრავლისმეტყველი ფაქტები	31

მსაჯის მსმსმსმსმსი უბაძებში



გაბოლიტიკოსებული რომარიო და მარადონა.



ბრაზილია. რიო-დე-ჟანეირო, მარაკანა კორკოვადოს მთიდან.



ენი ვერ შესწვდა თასსაო...



იოჰან კრუიფი და ფრანც ბეკენბაუერი.



მალდინი და კანავარო რონალდოს წინააღმდეგ




ოლივერ კანის და ლუსიოს ძიძგილაობა.



ბუფონი უჩვეულო მდგომარეობაში



ნოკაუტი ურინგოდ



„ფაფარაშლილი“ ვალდერამა

JOÃO SALDANHA

uma vida em jogo André Iki Siqueira



ჟოან სალდანიას
ბრაზილიელი
სპორტული
ჟურნალისტი და
მწვრთნელი

ISSN 2298-0970



9 772298 097000